ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

ფორმა # 3.1

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060301

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2016 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	783,400
სულ ბიუჯეტი:	783,400

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის ამოქმედებით აჭარის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-ისათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ქვეპროგრამაში მედდების ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მედდების ხელფასები	230	250	690,000
წნევის საზომი აპარატები	186	30	5,580
მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის	186	36.63	81,756
სადიაგნოსტიკო საშუალებები (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) სამედიცინო პუნქტებისათვის	186	32.6	6,064
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			783,400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმება	x	x	x	x
მედიკამენტებისა, წნევის აპარატების და სადიაგნოსტიკო საშუალებების მომწოდებლის შერჩევა	x	x	x	x
სამედიცინო მომსახურეობა	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.	სოფლის მოსახელობის ჩართულობის მაჩვენებელი	100%	თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ყოველი თვის დასასრულს